ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3080353

ნომერი: AR1471659

თარიღი : 18.01.2017

გაცემის თარიღი : 03.02.2017

გაცნობის თარიღი : 06.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი , ქუჩა ავჭალა , N 74 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხვიჩა ბერუაშვილი პ/ნ 43001004787
- თედორე მღვდლის 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურში არსებული ინფორმაციით ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება №შ-5/17, საიდანაც დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N72.12.02.389) შპს „ბეკუ“-ს მიერ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ, უნებართვოდ მიმდინარეობს კაპიტალური შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია. ამასთან, მოჭრილია მიწის ფერდი, ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის საძირკვლები არმატურის ნაშვერებით. ვინაიდან ზემოაღნიშნულ, უნაბერთვოდ განხორციელებულ სამუშაოებში მოიცავს წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოებს, განგინმარტავთ: “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები და მასთან ერთად ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის განხორციელებული დემონტაჟის თაობაზე.

შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ასევე გასათვალისწინებელი იქნება:

საკადასტრო გეგმაზე საპროექტო ღობე უნდა მოეწყოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

საკადასტრო გეგმაზე დატანილ იქნას ზომები და არსებული შენობის ღობემდე დაშორების მანძილი.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.